პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №---

2023 წლის --- აგვისტო; ქალაქი ბათუმი

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ მე-4 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141^7 მუხლის და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 16.06.2023, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020899) მე-2 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტ-ბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესი და პირობები“, თანახმად N1 დანართისა და ,,ზონები სადაც უნებართვოდ აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები არ მიიღება ექსპლუატაციაში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს/ორგანიზაციის თანხმობის გარეშე“ თანახმად N2 დანართისა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

დანართი N1

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესი და პირობები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესი და პირობები“ (შემდგომში – წესი) არეგულირებს, ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის მიერ (შემდგომში – მუნიციპალური ინსპექცია) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და გაცნობის წესსა და პირობებს.

2. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და გაცნობა ხდება ამ წესის და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე ელექტრონული ან/და მატერიალური დოკუმენტის ფორმით გამოცემული სამართლებრივი აქტი;

ბ) ავტორიზაცია – „ემესში “ რეგისტრაციის შედეგად მიღებული „მომხმარებლის სახელისა“ და „პაროლის“ მეშვეობით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში შესვლა, რომლითაც დაინტერესებული პირი ადასტურებს საკუთარ ვინაობას და ახორციელებს ელექტრონულ დოკუმენტზე ხელმოწერას ID ბარათის გამოყენებით;

გ) ავტორიზებული თანამშრომელი – „ემესის“ მომხმარებლად რეგისტრირებული პირი, რომელსაც გააჩნია მომხმარებლის სახელი და პაროლი და „ელექტრონული მართვის ერთიანი სისტემაში“ საკუთარი თანამდებობის შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა;

დ) დაინტერესებული პირი – საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^7 მუხლის მე-17 ნაწილით გათვალისწინებული პირი - პირვანდელი მესაკუთრე/დამკვეთი, აგრეთვე სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირი,

რომლის კანონიერი ინტერესი დასტურდება როგორც ინდივიდუალურად, ისე საერთო/თანაზიარი უფლების/ინტერესის სახით.

ე) დოკუმენტის ვიზირება – შესაბამისი უფლებამოსილი პირის წერილობითი ან/და ელექტრონული თანხმობა დოკუმენტის შინაარსზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) ელექტრონული განცხადება – დაინტერესებული პირის მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში განთავსებული ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი ფორმით შექმნილი წერილობითი მოთხოვნა;

ზ) ელექტრონული დოკუმენტი – ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა;

თ) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა – ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის სისტემა apps.msda.ge, რომლის მონაწილეთა/მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები რეგულირდება ამ წესითა და სხვა ნორმატიული აქტებით;

ი) ელექტრონული საქმისწარმოება – ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება ან/და განცხადების განხილვა ელექტრონული საქმისწარმოების მეშვეობით (მათ შორის ელექტრონული განცხადების რეგისტრაცია, შენახვა, შესრულება და ადმინისტრაციული წესების დაცვა) კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

კ) ელექტრონული შტამპი – ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება;

ლ) ელექტრონული ხელმოწერა – ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება;

მ) ემესი – ელექტრონული მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს: www.ms.gov.ge apps.municipal.gov.ge – შიდაორგანიზაციული ელექტრონული მართვის ერთიანი სისტემა; maps.tbilisi.gov.ge – მუნიციპალური გეოსივრცითი მონაცემების მართვის სისტემა;

ნ) პირადი გვერდი – დაინტერესებული პირის ინდივიდუალური გვერდი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, სადაც ფიქსირდება მისი დოკუმენტბრუნვა მუნიციპალურ ინსპექციასთან.

მუხლი 3. მომხმარებლის რეგისტრაცია, ავტორიზაცია

1. ელექტრონული განცხადების წარდგენის უფლება აქვს პირს, რომელიც რეგისტრირებულია „ემესში“ პორტალზე www.ms.gov.ge როგორც მომხმარებელი და გააჩნია მომხმარებლის სახელი და პაროლი.

2. მომხმარებლის რეგისტრაცია ხორციელდება პორტალზე www.ms.gov.ge სახელის, პაროლისა და რეგისტრაციისთვის საჭირო პერსონალური მონაცემების შევსების გზით.

3. ელექტრონული განცხადების წარდგენამდე დარეგისტრირებულმა დაინტერესებულმა პირმა საჭიროა, ავტორიზაცია გაიაროს პორტალზე www.ms.gov.ge.

მუხლი 4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება და ელექტრონული განცხადების შეტანა

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ელექტრონული განცხადების განთავსება.

2. ელექტრონული განცხადება დამოწმდება ელექტრონული ხელმოწერით ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დაინტერესებული პირის მიერ მისი ელექტრონული განცხადების განუხილველად დატოვების მოთხოვნის შემთხვევაში, ელექტრონული განცხადება განუხილველი რჩება დაინტერესებული პირის მიერ პორტალზე www.ms.gov.ge, ამ მოთხოვნით ელექტრონული განცხადების ატვირთვისთანავე.

მუხლი 5. დოკუმენტაციის წარდგენა

1. დაინტერესებული პირი ყველა დოკუმენტს და ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ელექტრონულ განცხადებაში აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, მუნიციპალურ ინსპექციას წარუდგენს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით პორტალზე www.ms.gov.ge.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, თანდართული დოკუმენტების ნამდვილობაზე ან/და ორიგინალთან მათ შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაინტერესებულ პირს.

3. ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციას, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით ელექტრონული განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ გადაეგზავნება, თუ დაინტერესებული პირი ვერ უზრუნველყოფს ელექტრონულ განცხადებაზე მიბმული ყველა სავალდებულო ველის შევსებას, რაც გულისხმობს მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებითი წესით განხილვისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის ან/და ინფორმაციის მიწოდებას.

4. თუ დაინტერესებული პირი მუნიციპალურ ინსპექციას არ წარუდგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რაც აუცილებელია საკითხის გადაწყვეტისათვის, მუნიციპალური ინსპექცია დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები.

5. ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებამდე, მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან კერძო და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან შესაბამისი პირობების შესრულება უშუალოდ ამ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მუნიციპალური ინსპექცია დაინტერესებულ პირს

განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან/და მოთხოვნილი პირობის შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენისათვის. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები.

6. დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე ელექტრონული განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

7. მუნიციპალური ინსპექცია ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილია დაინტერესებული პირის მოთხოვნით არაუმეტეს 2-ჯერ დაადგინოს შესაბამისი ხარვეზი, ამის შესახებ აცნობოს განმცხადებელს და განუსაზღვროს მას ვადა აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

8. თუ ამ მუხლის მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, ელექტრონული განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული. მუნიციპალური ინსპექცია უფლებამოსილია ელექტრონული განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ცალკე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოსცეს.

9. ელექტრონული განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციის მიღების დროებითი წესით განსაზღვრული პირობები

1. მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ექსპლუატაციაში მიიღოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მშენებლობადამთავრებული შენობა-ნაგებობა, მათ შორის, შენობა-ნაგებობების კომპლექსის დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი მშენებლობადამთავრებული ობიექტი (შემდგომ – ობიექტი), რომელზედაც გაცემული იყო მშენებლობის ნებართვა და რომლის მშენებლობა წარმოებულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ცვლილებით, ფუნქციური ზონირების დარღვევით) ან შეუსაბამო მიწის ნაკვეთზე. ეს ნაწილი ვრცელდება იმ ობიექტზედაც, რომელზედაც მშენებლობის ნებართვა გაცემული არ არის, თუმცა მისი მშენებლობა დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის არეალშია წარმოებული, აგრეთვე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე (გარდა კომერციული დანიშნულების ობიექტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ განსაზღვრულ არეალში აშენებული ობიექტისა), რომლის მახასიათებლები არ სცდება II კლასის შენობა-ნაგებობის მახასიათებლებს და რომლის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის ან მშენებლობის შეტყობინების გარეშეა წარმოებული.

2. ექსპლუატაციაში მიღება ეხება იმ ობიექტს, რომელზედაც გაცემულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მშენებლობის ნებართვა და რომლის მშენებლობა, 2022 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით, დამთავრებულია, აგრეთვე იმ ობიექტს, რომელზედაც მშენებლობის ნებართვა გაცემული არ არის, თუმცა იგი დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის

არეალშია განთავსებული და მისი მშენებლობა, 2022 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით, დამთავრებულია. ექსპლუატაციაში მიღება ეხება აგრეთვე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს (გარდა კომერციული დანიშნულების ობიექტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ განსაზღვრულ არეალში აშენებული ობიექტისა), რომლის მახასიათებლები არ სცდება II კლასის შენობა-ნაგებობის მახასიათებლებს, რომელზედაც მშენებლობის ნებართვა გაცემული არ არის და რომლის მშენებლობა, 2022 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით, დამთავრებულია.

3. ამ მუხლის მიზნებისთვის მშენებლობადამთავრებულ ობიექტად მიიჩნევა ის ობიექტი, რომლის ძირითადი კონსტრუქციული სისტემისა და ექსტერიერის სამშენებლო სამუშაოები, გარდა მოსაპირკეთებელი და კეთილმოწყობის სამუშაოებისა, დამთავრებულია.

4. საქართველოს კანონის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^7 მუხლის მიზნებისთვის მოსაპირკეთელ სამუშაოებად განისაზღვრება შენობის ან ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტების მოპირკეთება, ასევე მოაჯირების, ვიტრაჟების, კარისა და ფანჯრების მონტაჟი, გარდა ვენტილირებადი ფასადისა.

5. საქართველოს კანონის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^7 მუხლის მიზნებისთვის კომერციულ ობიექტად გარდა ფუნქციურად განსაზღვრული შენობა-ნაგებობისა მიიჩნევა, საცხოვრებელ სახლებში კომერციული მიზნისთვის მოწყობილი ფართები, საცხოვრებელი აპარტამენტები, რომელიც არ არის მუდმივი საცხოვრებელი და გამოიყენება კომერციული მიზნით, ოფისები და ასევე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებული პირი ვალდებულია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^7 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა, უფლებამოსილ ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში დამატებით წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის ხელშეკრულებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდება მათი ფუნქციური დანიშნულება.

7. ამ წესის შესაბამისად ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება არ ნიშნავს:
ა) მიჯნის ზონის დარღვევით განხორციელებული სამუშაოების კანონიერებას;
ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) მომატებისთვის დაწესებული თანხის გადახდისგან გათავისუფლებას.
8. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) მომატებისთვის დაწესებული გადასახდელი თანხის განსაზღვრის მიზნით, უფლებამოსილი ორგანო შესაბამის დოკუმენტაციას უგზავნის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს, რომელიც ვალდებულია 10 დღის ვადაში განიხილოს და წარადგინოს წერილობითი პასუხი.

მუხლი 7. ელექტრონული განცხადების განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

1. ელექტრონული განცხადების განხილვა, დოკუმენტის ვიზირება და შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით apps.msda.ge. დოკუმენტის ვიზირება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში მიმოწერის საშუალებით.

2. მუნიციპალური ინსპექციის უფროსის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით, ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით დამოწმებით;

3. მუნიციპალური ინსპექცია, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^7 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ ადასტურებს დარღვევით წარმოებულ მშენებლობას განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების გათვალისწინებით. იგი ვალდებულია ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ან ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. მუნიციპალური ინსპექცია ამ გადაწყვეტილებას იღებს მისთვის შესაბამისი ელექტრონული განცხადების წარდგენიდან 6 თვის ვადაში. მის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ეს ვადა 6 თვით გრძელდება. მუნიციპალური ინსპექციის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. ამ ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილების მიუღებლობა პირს არ უზღუდავს უფლებას, მუნიციპალური ინსპექციას განმეორებით წარუდგინოს ელექტრონული განცხადება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

4. მუნიციპალური ინსპექციის მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობისთანავე.

5. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობად ჩაითვლება დაინტერესებული პირის მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში მის პირად გვერდზე განთავსებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პირველივე ნახვა, ელექტრონული დოკუმენტის გახსნის მეშვეობით.

6. იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული პირი არ გაეცნობა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ხარვეზის დამდგენ შუალედურ აქტს/აქტებს, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^7 მუხლის მე-9 ნაწილით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ, ელექტრონული განცხადება წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ დარჩება განუხილველი.

7. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით შექმნილი დოკუმენტის ნამდვილობის დადგენა შესაძლებელია: მისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში გადამოწმების ან/და დაშიფრული კოდის სპეციალური წამკითხველის საშუალებით. დაშიფრული კოდი მოიცავს დოკუმენტის მონაცემების ერთობლიობას: დოკუმენტის ნომერს და დოკუმენტის მოძრაობის ნომერს.

8. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი, თარიღი და კანონმდებლობით დადგენილი სხვა რეკვიზიტები განისაზღვრება ავტომატურ რეჟიმში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით.

9. ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის უფლებამოსილი პირის მიერ არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

10. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით შექმნილი ელექტრონული დოკუმენტი ინახება უვადოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ელექტრონული მომსახურების ვადები

1. ელექტრონული მომსახურების განხორციელებისას გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^7 მუხლით გათვალისწინებული ვადები.

2. ელექტრონული განცხადების/დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტის განხილვის ვადის დინება აითვლება მისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში განთავსების შემდგომი სამუშაო დღიდან.

მუხლი 9. ელექტრონული მომსახურების ინსტრუქცია

ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხები განისაზღვრება ელექტრონული საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის დირექტორი. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის ფუნქციონალების განვითარებასთან ერთად შესაძლოა ინსტრუქციის ცვლილება.

დანართი N 2

ზონები სადაც უნებართვოდ აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები არ მიიღება ექსპლუატაციაში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს/ორგანიზაციის თანხმობის გარეშე

უნებართვოდ აშენებული ინდ. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მისაღებად საჭიროა შესაბამის ადმინისტრაციული ორგანოების თანხმობა, იმ შემთხვევაში თუკი ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობა მდებარეობს ჩამოთვლილი ტერიტორიებიდან ერთ-ერთში ან რამდენიმეში ერთდროულად:

ა) აეროდრომის დაცვის არეში (რაიონში);

ბ) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მფლობელობაში არსებულ საავტომობილო გზაზე ან გზისპირა ზონებში ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონაში;

გ) დაცულ ტერიტორიებში;

დ) სახელმწიფო ტყის ფონდში;

ე) სახელმწიფო წყლის ფონდის ტერიტორიაზე, სანაპირო ზოლში ან ზონაში;

ვ) სასაზღვრო ზოლში ან/და სასაზღვრო ზონებში;

ზ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში;

თ) მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) და მაგისტრალურ მილსადენებთან დაკავშირებული ობიექტებისათვის დაცვის ზონებში;

ი) ხაზობრივი ნაგებობები დაცვის ზონაში.

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2023 წლის 31 მაისის N2990-XIმს-Xმპ კანონით (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge გამოქვეყნების თარიღი: 01/03/2021 სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016509) კოდექსს დაემატა 141[7] მუხლი, რომლითაც განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაში მიღების დროებითი წესი, ხოლო კანონის მე-2 მუხლის თანახმად: კანონის აღსრულების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

დადგენილების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის დამტკიცება. აღნიშნული წესის მიღება გაამარტივებს, უფრო ეფექტურს და სრულყოფილს გახდის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაში მიღებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ინსპექციის მიერ ელექტრონული საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება შესაძლებელი იქნება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში განთავსებული დაინტერესებული პირის განცხადებით. განმცხადებელი ყველა დოკუმენტს და ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია განცხადებაში აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად სამსახურს წარუდგენს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის

სისტემის საშუალებით ვებგვერდზე ms.gov.ge. განმცხადებლის მიერ მოხდება ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის და მონაცემების შეყვანა შესაბამისი რეგისტრაციის ველში,რის შედეგადაც ჩამოყალიბდება გაცემული მშენებლობის ნებართვების შესახებ, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, რაც ვერ ხორციელდება განცხადების კანცელარიის გზით შემოტანის შემთხვევაში. სტატისტიკის მიწოდება ხდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის. აღნიშნული პროგრამა დაკავშირებულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა apps.msda.ge-თან. ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაზე გადასვლის შედეგად ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში განხორციელებული ყველა ქმედება განხორციელდება შეუფერხებლად, ინფორმაცია და სამართლებრივი აქტები მარტივად და სწრაფად ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული პირებისათვის; მარტივად მოხდება ძირითადი განცხადების და დამატებითი განცხადებების დაკავშირება განმცხადებლების მიერ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატისტიკური ინფორმაციის ასახვა, რაც შესაძლებელია იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია ადმინისტრაციული წარმოების დროს გამოიყენებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა ms.gov.ge-ს.

აღნიშნული დოკუმენტბრუნვის სისტემა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადმინისტრაციული წარმოების პროცესს, ასევე დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ სახლიდან გაუსვლელად შეიტანონ განცხადება და საჭირო დოკუმენტაცია უფლებამოსილ ორგანოში და იმავე საშუალებით მიიღონ შესაბამისი პასუხი.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის

სამართლებრივი უზრუნველყოფისა და

ადამიანური რესურსების მართვის

განყოფილების *უფროსი* **ლაშა მამულაძე**